PDF Eraser Free

*დანართი№1*

გᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ -კოლეჯ მოდუსის საგანმანათლებლო პროგრამების „კომპიუტერული ქსელი და სისიტემების "და „მებაღეობის"მონიტორინგის შესახებ

**ექსპერტთაჯგუფისწევრები**

თავმჯდომარე:ნაზო წიბლიაშვილი

**წევრები:**

ვანო ოთხოზორია

ქეთევან გელაშვილი

*{თბილისი, 2020}*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების  სახელწოდება: სსიპ-კოლეჯი „მოდუსი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

## II. მონიტორინგის სახე:

☐ გეგმიური

■ არაგეგმიური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

## III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ[1]

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა | აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| კომპიუტერული ქსელი და სისტემები | 15 (მათ შორის 15 ინტეგრირებული) | 27 ( 15 ინტეგრირებული) | |
| მებაღეობა | 30 (მათ შორის 15 ინტეგრირებული) | 20 (8 ინტეგრირებული) | |
| | | | |

[1]აღნიშნული ინფორმაცია მოწოდებულია კოლეჯის მიერ დისტანციური ჩართვის დროს. უნდა აღინიშნოს რომ 2020 წლის 3 აგვისტოს ავტორიზაციის საბჭოს N656579 გადაწყვეტილებით დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამაზე „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 15, მათ შორის 15 სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

## IV. საერთომი მოხილვა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობით (2020 წლის 3 აგვისტოს №655086 ოქმი), სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის N997806 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს (ჯგუფის თავმჯდომარე ნაზო წიბლიაშვილი, ჯგუფის წევრები ვანო ოთხოზორია და ქეთევან გელაშვილი) დაევალა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით სსიპ-კოლეჯ "მოდუსის" საგანმანათლებლო პროგრამების „კომპიუტერული ქსელი და სისტემები" და „მებაღეობა" (რომელებშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები) ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების და წინა ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტების მიერ გაცემული შესაბამისობის და განვითარების რეკომენდაციების შემოწმება (არაგეგმიური მონიტორინგი).

მონიტორინგის ფარგლებში, რეკომენდაციების გათვალისწინების შემოწმების მიზნით დაწესებულებამ გადმოგზავნა მატერიალური რესურსის შესყიდვის და ფლობის დოკუმენტაცია, 2.2 კომპონენტის გადამოწმების მიზნით დამატებით გამოთხოვილი იქნა დოკუმენტაცია (საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმები, პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები, „კომპიუტერული ქსელის და სისტემების" პროგრამის „გაცნობითი პრაქტიკის" და „პრაქტიკული პროექტის" მოდულები და სხვ).

2020 წ. 4 ნოემბერს განხორციელდა დისტანციური ჩართვა, მონიტორინგის განრიგის დაცვით მოხდა გასაუბრება დაწესებულების დირექტორთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან, სასწავლო პროცესის მენეჯერთან, ბიბლიოთეკართან და საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან, დათვალიერებული იქნა სასწავლო გარემოები, მატერიალური აღჭურვილობა, ინტეგრირებული ზოგადი მოდულებისთვის განკუთვნილი ლაბორატორია, კოლეჯის ინფრასტრუქტურა.

წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში („კომპიუტერული ქსელი და სისტემები" და „მებეღეობა" პროგრამების დამატება, რომელშიც ინტეგრირებული იყო ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები) მომზადებული დასკვნის თანახმად, დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან მიმართებაში შეფასდა როგორც მეტწილ შესაბამისობაში, რადგანაც 2.2 კომპონენტი შეფასდა მეტწილად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შემოწმებული დოკუმენტების და განხორციელებული ჩართვის საფუძველზე ზემო აღნიშნული პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის 2.2 კომპონენტი ექსპერტთა მიერ შეფასდა სრულ შესაბამისობაში და შესაბამისად ზემოაღნიშნული პროგრამები არის უკვე „სრული შესაბამისი“.

## VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

**სტანდარტი 2 - შესაბამისობის რეკომენდაცია**

**კომპონენტი 2.2.1. რეკომენდაცია გაცემულია ორივე პროგრამისთვის.**

**კრიტერიუმი 1.** პროგრამით გათვალისწინებული პროფესიული/დარგობრივი მოდულებით განსაზღვრული რესურსი (გარდა კომპიუტერული ტექნიკისა) შესყიდულ იქნას და განთავსდეს დაწესებულების ბაზაზე-შესრულებულია

დაწესებულებამ 2020 წლის 15 ოქტომბრის MES 0 20 0000987405 წერილით წარმოადგინა ორივე პროგრამისთვის და ინტეგრირებული მოდულებისთვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის შეძენის ხელშკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები და ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია, რითაც დასტურდება დაწესებულების მიერ პროგრამებით გათვალისწინებული ტექნიკური აღჭურვილობის უზრუნველყოფა.

**კრიტერიუმი 3. რეკომენდაცია გაცემულია ორივე პროგრამისთვის.:** ინტეგრირებული მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებლებმა, რომ შეძლონ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავება და შეფასების კომპეტენციის განვითარება საჭიროა გადამზადდნენ მოდულის განხორციელების სპეციფიკის და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების საკითხებში-შესრულებულია;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაწესებულებამ  წარმოადგინა ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლებისათვის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და დაწესებულების მიერ ერთობლივად ჩატარებული ტრენინგის და  შეფასება/შეჩევის  დოკუმენტაცია, შეფასება/შერჩევა განხორციელებულია შეფასების 8 კომპონენტის საფუძველზე. პროფესიულ მასწავლებლებთან დისტანციურად გასაუბრების საფუძველზე დადასტურდა, რომ შერჩეულ კანდიდატებს გაცნობირებული აქვთ მოდულის განხორციელების და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სპეციფიკა.

**კომპონენტი 2.4.2. რეკომენდაცია გაცემულია „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამისთვის.**
**კრიტერიუმი 3. რეკომენდაცია სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით:** დაწესებულებამ გაწეროს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების აღრიცხვის წესი, რომლის მიხედვითაც განახორციელებს მათ აღრიცხვას-**შესრულებულია**;

დაწესებულებამ „სასწავლო პროცესის რეგულირების წესის“, მუხლი 34 (დამტკ.ბრძ. N82; 5.04.2019; ცვლ. ბრძ.N56; 21.10.20წ.) შეიტანა ცვლილება და გაწერა შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ ინფორმაციის/ მტკიცებულებების აღრიცხვის წესი, რომლის მიხედვითაც ანხორციელებს მათ აღრიცხვას, კერძოდ შეფასების მტკიცებულებების შენახვა/აღრიცხვა ხდება ელექტონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (e-Flow) საშუალებით, სადაც აღირიცხება მონაცემები თითოეული ჯგუფის თითოეული პროფესიული სტუდენტის მოსწრების შესახებ. ელექტრონულად ინახება და აღირიცხება სტუდენტების მიერ პროგრამის ფარგლებში მიღებული ყველა დადებითი და უარყოფითი შეფასება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

**რეკომენდაცია გაუმჯობესების მიზნით გაცემულია „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საგანმანათლებლო პროგრამისთვის.**

**კომპონენტი 2.1.1**

**კრიტერიუმი 8.** „გაცნობითი პრაქტიკა“ და „პრაქტიკული პროექტი“ მოდულების განხორციელების მიდგომებში გაიწეროს სწავლის შედეგების მიღწევა ან ცალკეული აქტივობები, ხორციელდება პრაქტიკის ობიექტებზე თუ მხოლოდ დაწესებულების სასწავლო გარემოში-**გათვალისწინებულია**;

**დაწესებულების მიერ წარმოდგენილია „კომპიუტერული ქსელი და სისიტემები“ საგანმანათლებლო პროგრამის „გაცნობითი პრაქტიკის“ და „პრაქტიკული პროექტის“ მოდულები, რომელთა (ცვლ. ბრძ.155; 21.10.2020 წ.) განხორციელების მიდგომებში გაწერილია სწავლის შედეგების მიღწევა და აქტივობები, როგორც პრაქტიკის ობიექტებზე ისე დაწესებულების სასწავლო გარემოში, პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელთან დისტანციურად განხორციელებული გასაუბრებით დადგინდა, რომ ობიექტი მზადაა მოემსახუროსაღნიშნული მოდულების ფარგლებში, განსახორციელებელ პრაქტიკულ კომპონენტს.**

**კომპონენტი 2.2.1.**

**კრიტერიუმი 1.** რეკომენდირებულია დაწესებულების მფლობელობაში არსებული კომპიუტერული ტექნიკის აპარატურული მახასიათებლები, ძირითადი დარგობრივი პროფესიული მოდულების ეფექტური განხორციელებისთვის უმჯობესია განახლდეს. კერძოდ, ოპერატიული მეხსიერების მოცულობა არსებული 4 გიგაბაიტი გაიზარდოს 8 გიგაბაიტამდე, ხოლო ცენტრალური პროცესორი პარამეტრებით - 2 ფიზიკური ბირთვი და 4 ვირტუალური ბირთვი (ნაკადი), შეიცვალოს მინიმუმ 4 ფიზიკური ბირთვის პარამეტრების ცენტრალური პროცესორით-**რეკომენდაცია დაწესებულების მიერ გათვალისწინებული იქნება შემდგომში შესყიდვის განხორციელებისას, ამჟამად არსებული კომპიუტერის მახასიათებლები აკმაყოფილებენ სტანდარტის მინიმალურ მოთხოვნებს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

## VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

## IX.რეკომენდაციების შეჯამება

არ გაცემულა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

## XI. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | **კომპიუტერული ქსელი და სისტემები** |
| პროფესიული განათლების საფეხური / დონე | **მეოთხე** |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | **საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში** |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | **0612** |
| პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები | **N68, 11.06.2020.** |
| პროგრამის განხორციელების ენა | **ქართული** |
| პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები) | **ქ. რუსთავი, შარტავას გამზირი N4** |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | **მოდულური** |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | **15**<br>**ქ. რუსთავი, შარტავას გამზირი N4**<br>**მოდულური** |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან,პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | **15** |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | **148** |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 90 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 178 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 120 |

## XII. პროგრამისპროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | | | | |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | **სრული 3** | | | |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | | | | |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | | | | |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free


# პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

## 2.საგანმანათლებლო პროგრამები

### 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

**2.2.1**პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

საგანმანათლებლო პროგრამით **„კომპიუტერული ქსელი და სისიტემები"** გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით. დაწესებულების მიერ, 30 პროფესიულ სტუდენტზე, სრულადაა წარმოდგენილი როგორც პროგრამისთვის საჭირო, ისე ინტეგრირებული ზოგადი განათლების მოდულებისთვის განსაზღვრული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ფლობის დოკუმენტები. დისტანციურად განხორციელებული ჩართვისას დათვალიერდა დოკუმენტით წარმოდგენილი აღჭურვილობა, დარგის ექსპერტის მიერ კონკრეტულად იქნა მოთხოვნილი ეჩვენებინათ კომუტატორი და მარშრუტიზატორი. მოდულების, „გაცნობითი პრაქტიკა" და „პრაქტიკული პროექტი", პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებისთვის წარმოდგენილია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შპს „ატომ ელექტრონიქსთან"- მემორანდუმი გაფორმებულია 2020წ. 3 აპრილს უვადოდ;

2. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

საგანმანათლებლო პროგრამის **„კომპიუტერული ქსელი და სისიტემები"** პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სასწავლო გეგმა და საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელთა პირადი საქმეები, დარგის ექსპერტმა ვებ-გვერდზე სასწავლო ცხრილის გაცნობისას ნახა, რომ კოლეჯს ჰყავდა ახალი პროფესიული მასწავლებლები და დისტანციური ჩართვისას სურვილი გამოთქვა გაცნობოდა მათ პირად საქმეებსაც,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

რომელიც დამატებით იქნა გადმოგზავნილი. სასწავლო გეგმის თანახმად პროფესიული განათლების მასწავლებლის (საშტატო) დატვირთვის გაანგარიშებისას გათვალისწინებულია, რომ ის გარდა საკონტაქტო საათებისა მონაწილეობს სხვა სამუშაოების შესრულებაშიც (მოდულის ადაპტირება, შეფასების ინსტრუმენტების შექმნა, ვერიფიკაცია, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, შეფასების პროცესი, პროფესიული განვითარება, მონაწილეობა სამუშაო და ადმინისტრაციულ შეხვედრებში და ზოგჯერ - გარკვეული ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებაც, მაგ: პროგრამის ხელმძღვანელობა). ამიტომაც მათი საკონტაქტო საათების დატვირთვა ერთი პროგრამის მიზნებისათვის არის სასწავლო გეგმის მიხედვით 2 ცვლიანი სწავლების პირობებში კვირაში 30-32 საათი. **„კომპიუტერული ქსელი და სისიტემები“** პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 10, ინტეგრირებულის შემთხვევაში 19 პროფესიული განათლების მასწავლებელი, დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

**3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**

საგანმანათლებლო პროგრამის**„კომპიუტერული ქსელი და სისიტემები“** განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებს გააჩნიათ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება მასწავლებლის მიმართ წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნებით, პირადი საქმეებით და დისტანციური ჩართვისას განხორციელებული გასაუბრებით. დაწესებულებიდან დამატებით გამოთხოვნილი ახალი პროფესიული მასწავლებლებლების პირადი საქმეებით დასტურდება მათი სათანადო კვალიფიკაცია.
პროგრამის ინტეგრირებული მოდულების პროფესიული მასწავლებლები შერჩეული არიან კონკურსის წესით. ინტეგრირებულ მოდულზე შერჩეულმა მასწავლებლებმა გაიარეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დაგეგმილი ტრენინგები და შედეგების გათვალისწინებით განხორციელდა მათთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება.ზოგადი განათლების ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლებთან



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დისტანციურად განხორციელებული გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა რომ მათ გააზრებული აქვს პროფესიულ განათლებაში ზოგადი მოდულების განხორციელების სპეციფიკა, ასევეგავლილი ტრენინგიდან გამომდინარე მათ გააჩნიათ მოდულის განხორციელების და შეფასების უნარი.

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**

დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი განისაზღვრება პროგრამის დამტკიცებასთან ერთად, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის **„კომპიუტერული ქსელი და სისიტემები"** ხელმძღვანელის პირადი საქმით, ასევე მასთან დისტანციურად განხორციელებული გასაუბრებით დადგინდა, რომ კოლეჯს პროგრამაზე ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

დისტანციურად განხორციელებული ჩართვისას დათვალიერებული იქნა დაწესებულების ბიბლიოთეკა და მოთხოვნილი იქნა მოდულებიდან სასწავლო რესურსი, საგანმანათლებლო პროგრამაში **„კომპიუტერული ქსელი და სისიტემები"** მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში როგორც ელექტონული სახით ელ. დისკებზე, რომლებიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, ისე მატერიალური სახით ამონაბეჭდი და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ბიბლიოთეკაში არის სამუშაო სივრცე აღჭურვილი კომპიუტერებით, რომელშიც ჩატვირთულია კოლეჯის საკუთრებაში არსებული საგანმანათლებლო რესურსის კატალოგი. ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი განთავსებულია ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

დაწესებულებაში არსებომს მზაობა რათა სსსმ პირებს ქონდეთ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
დისტანციური ჩართვისას დათვალიერდა დაწესებულების ინფრასტრუქტურა რომელის ადაპტირებულია სსსმ პირებისათვის (კერძოდ დაგებულია უსინათლოთა ბილიკი, უზრუნველყოფილია ლიფტით). გასაუბრებისას კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერმა განაცხადა რომ არაინტეგრირებულ პროგრამაზე ჰყავს სსსმ პირი, რომელთანაც პროფესიული განათლების სპეციალისტის მხრიდან მიმდიმარეობს აქტიური დაკვირვება და მუშაობა, რათა განისაზღვროს მისთვის მოდულის და სწავლის შედეგების მოდიფიკაცია ან/და აკომოდაცია და შემდგომ გაიწერება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

დაწესებულებას „სასწავლო პროცესის რეგულირების წესის“ მუხლი 35. გაწერილი აქვს სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები, რომლის თანახმადკოლეჯი ახორციელებს საჭირო დამატებითი ადამიანური და მატერიალური რესურსის უზრუნველყოფის გზით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნას. სსსმ პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებისათვის კოლეჯი იყენებს პროფესიული განათლების სპეციალისტის, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ასისტენტის (საჭიროების შემთხვევაში), სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის გადაადგილებაზე პასუხისმგებელი პირისა და კვალიფიციური პედაგოგების მომსახურების სერვისს. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვას. საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულების მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას / მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე მასწავლებელი უფლებამოსილი ხდება სასწავლო პროცესის ფარგლებში:

- მიმართოს სწავლების განსხვავებულ ხერხებსა და სტრატეგიებს;
- შეარჩიოს და გამოიყენოს სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა-სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდები;
- სტუდენტისთვის დაადგინოს საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემა;
- განსაზღვროს, შეცვალოს და გამოიყენოს სტუდენტისთვის ოპტიმალური სასწავლო გარემო;
- საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა;
- გამოიყენოს საჭირო რაოდენობით სასწავლო მასალა და ნედლეული;
- შეცვალოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობა.

**7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსებით. დაწესებულების მიერ გადმოგზავნილია პროგრამის ბიუჯეტი, რომლითაც განსაზღვრულია სტუდენტთა მინიმალური რაოდენობა, სწავლების საფასური, შრომის ანაზღაურება, პროგრამისთვის განსაზღვრული სახარჯი მასალა და ნედლეული, გაუთვალისწინებელი ხარჯი, აღჭურვილობის ამორტიზაცია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- მატერიალური და ტექნიკური აღჭურვილობის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტებით;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
- სასწავლო გეგმით;
- განმახორციელებლების და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები/სერთიფიკატებით;
- კონკურსის შედეგების დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ჩატარებული ტრენინგების შედეგებით;
- „სასწავლო პროცესის რეგულირების წესით“
- საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტით;

შეფასება:

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

## XI. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | მებაღეობა |
| პროფესიული განათლების საფეხური / დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მებაღეობაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0812 |
| პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები | N66; 11.06.2020. |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები) | ქ. რუსთავი, შარტავას გამზირი N4 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 30<br>ქ. რუსთავი, შარტავას გამზირი N4<br>მოდულური |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან,პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | 15 |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 140 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 85 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 170 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 115 |

## XII. პროგრამისპროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | | | | |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | **სრული 3** | | | |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | | | | |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | | | | |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free


## პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2.საგანმანათლებლოპროგრამები

2.2 საგანმანათლებლოპროგრამისგანხორციელებისრესურსი.

**2.2.1**პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

7. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
8. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
9. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
10. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
11. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
12. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმი მოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

საგანმანათლებლო პროგრამით **„მებაღეობა"** გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.დაწესებულების მიერ სრულადაა წარმოდგენილი როგორც პროგრამისთვის საჭირო, ისე ინტეგრირებული ზოგადი განათლების მოდულებისთვის განსაზღვრული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ფლობის დოკუმენტები. დისტანციური ჩართვისას განხორცოელდა სასწავლო გარემოს და აღჭურვილობის დათვალიერება. პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებისთვის წარმოდგენილია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები ა(ა)იპ „რუსთავსერვის ცენტრი"(მემორ. N30/2019), სს"საქართველოს სათბურის კორპორაცია"(მემორ.5.08.2019 ) და [redacted] (მემორ. 6.09.2019წ) -მემორანდუმები გაფორმებულია უვადოდ.

2. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

საგანმანათლებლო პროგრამაზე **„მებაღეობა"** პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სასწავლო გეგმა და საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელთა პირადი საქმეები, პროფესიული განათლების მასწავლებლის (საშტატო) დატვირთვის გაანგარიშებისას გათვალისწინებულია, რომ ის გარდა საკონტაქტო საათებისა მონაწილეობს სხვა სამუშაოების შესრულებაშიც (მოდულის ადაპტირება, შეფასების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ინსტრუმენტების შექმნა, ვერიფიკაცია, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, შეფასების პროცესი, პროფესიული განვითარება, მონაწილეობა სამუშაო და ადმინისტრაციულ შეხვედრებში და ზოგჯერ - გარკვეული ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებაც, მაგ: პროგრამის ხელმძღვანელობა). ამიტომაც მათი საკონტაქტო საათების დატვირთვა ერთი პროგრამის მიზნებისათვის არის სასწავლო გეგმის მიხედვით 2 ცვლიანი სწავლების პირობებში კვირაში 30-32 საათი. საგანმანათლებლო პროგრამის **„მებაღეობა“** განხორციელებაში ჩართულია 11, ინტეგრირებულის შემთხვევაში - 20 პროფესიული განათლების მასწავლებელი.

დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე **„მებაღეობა“** პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**

საგანმანათლებლო პროგრამის**„მებაღეობა“** განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებს გააჩნიათ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება მასწავლებლის მიმართ წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნებით, პირადი საქმეებით და დისტანციური ჩართვისას განხორციელებული გასაუბრებით. დაწესებულებიდან დამატებით გამოთხოვნილი ახალი პროფესიული მასწავლებლებლების პირადი საქმეებით დასტურდება მათი სათანადო კვალიფიკაცია.

პროგრამის ინტეგრირებული მოდულების პროფესიული მასწავლებლები შერჩეული არიან კონკურსის წესით. ინტეგრირებულ მოდულზე შერჩეულმა მასწავლებლებმა გაიარეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დაგეგმილი ტრენინგები და შედეგების გათვალისწინებით განხორციელდა მათთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება.ზოგადი განათლების ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლებთან დისტანციურად განხორციელებული გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა რომ მათ გააზრებული აქვს პროფესიულ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

განათლებაში ზოგადი მოდულების განხორციელების სპეციფიკა, ასევე გავლილი ტრენინგიდან გამომდინარე მათ გააჩნიათ მოდულის განხორციელების და შეფასების უნარი.

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**

დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი განისაზღვრება პროგრამის დამტკიცებასთან ერთად, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის **„მებაღეობა“** ხელმძღვანელის პირადი საქმით, ასევე მასთან დისტანციურად განხორციელებული გასაუბრებით დადგინდა, რომ კოლეჯს პროგრამაზე ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

დისტანციურად განხორციელებული ჩართვისას დათვალიერებული იქნა დაწესებულების ბიბლიოთეკა და მოთხოვნილი იქნა მოდულებიდან სასწავლო რესურსი, საგანმანათლებლო პროგრამაში **„მებაღეობა“** მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში როგორც ელექტონული სახით ელ. დისკებზე, რომლებიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, ისე მატერიალური სახით ამონაბეჭდი და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ბიბლიოთეკაში არის სამუშაო სივრცე აღჭურვილი კომპიუტერებით, რომელშიც ჩატვირთულია კოლეჯის საკუთრებაში არსებული საგანმანათლებლო რესურსის კატალოგი. ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი განთავსებულია ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

დაწესებულებაში არსებომს მზაობა რათა სსსმ პირებს ქონდეთ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
დისტანციური ჩართვისას დათვალიერდა დაწესებულების ინფრასტრუქტურა რომელიც ადაპტირებულია სსსმ პირებისათვის (კერძოდ დაგებულია უსინათლოთა ბილიკი, აღჭურვილია ლიფტით). გასაუბრებისას კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერმა განაცხადა რომ ინტეგრირებულ პროგრამაზე ჰყავს სსსმ პირი, რომელთანაც პროფესიული განათლების სპეციალისტის მხრიდან მიმდიმარეობს აქტიური დაკვირვება და მუშაობა, რათა განისაზღვროს მისთვის მოდულის და სწავლის შედეგების მოდიფიკაცია ან/და აკომოდაცია და შემდგომ გაიწერება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

დაწესებულებას „სასწავლო პროცესის რეგულირების წესი" მუხლი 35. გაწერილი აქვს სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები, რომლის თანახმადკოლეჯი ახორციელებს საჭირო დამატებითი ადამიანური და მატერიალური რესურსის უზრუნველყოფის გზით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნას. სსსმ პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებისათვის კოლეჯი იყენებს პროფესიული განათლების სპეციალისტის, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ასისტენტის(საჭიროების შემთხვევაში), სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის გადაადგილებაზე პასუხისმგებელი პირისა და კვალიფიციური პედაგოგების მომსახურების სერვისს. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვას. საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულების მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამას / მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე მასწავლებელი უფლებამოსილი ხდება სასწავლო პროცესის ფარგლებში:

- მიმართოს სწავლების განსხვავებულ ხერხებსა და სტრატეგიებს;
- შეარჩიოს და გამოიყენოს სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა-სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდები;
- სტუდენტისთვის დაადგინოს საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემა;
- განსაზღვროს, შეცვალოს და გამოიყენოს სტუდენტისთვის ოპტიმალური სასწავლო გარემო;
- საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა;
- გამოიყენოს საჭირო რაოდენობით სასწავლო მასალა და ნედლეული;
- შეცვალოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობა.

## 7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსებით. დაწესებულების მიერ გადმოგზავნილია პროგრამის ბიუჯეტი, რომლითაც განსაზღვრულია სტუდენტთა მინიმალური რაოდენობა, სწავლების საფასური, შრომის ანაზღაურება, პროგრამისთვის განსაზღვრული სახარჯი მასალა და ნედლეული, გაუთვალისწინებელი ხარჯი, აღჭურვილობის ამორტიზაცია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- მატერიალური და ტექნიკური  აღჭურვილობის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტებით;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით;
- სასწავლო გეგმით;
- განმახორციელებლების და პროგრამის ხელმძღვანელის  პირადი საქმეები/სერთიფიკატებით;
- კონკურსის შედეგების დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ჩატარებული ტრენინგების შედეგებით;
- „სასწავლო პროცესის რეგულირების წესით“
- საგანმანათლებლო პროგრამების  ბიუჯეტით;

შეფასება:

■შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

## XI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. მონიტორინგის განრიგი.

25.11.2020წ.
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: